GÜRTİAD

EKONOMİ BÜLTENİ

ეკონომიკური გამოცემა

16 Haziran /ივნისი 2025

Nüfus / მოსახლეობა	GSYİH ($) / მშპ ($)	GSYH (büyüme) /მშპ	İşsizlik / უმუშევრობა	Enflasyon /ინფლაცია
3 704.5	9 141.4	9.4%	13.9%	3.5%

Irakli Kobakhidze, Birleşik Arap Emirlikleri Devlet Bakanı ile Bir Araya Geldi

ირაკლი კობახიძე არაბთა გაერთიანებული საამიროების სახელმწიფო მინისტრს შეხვდა



Gürcistan Başbakanı İrakli Kobakhidze, Gürcistan'ın Tiflis Kuru Limanı'nın açılışı dolayısıyla ülkeyi ziyaret eden Birleşik Arap Emirlikleri Dışişleri Bakanlığı'nın Ekonomi ve Ticaret İşlerinden Sorumlu Devlet Bakanı Ahmed bin Ali Al Sayegh ile bir araya geldi.

Hükümet İdaresinde gerçekleşen görüşmede, Gürcistan ile Birleşik Arap Emirlikleri arasındaki çeşitli alanlardaki başarılı ikili iş birliği ve ticari-ekonomik ilişkilerin gelişimindeki olumlu dinamiklerin üzerinde duruldu.

Kuru liman projesinin, Kafkasya ve Orta Asya bölgelerindeki ticaret akışlarının güçlendirilmesindeki, özellikle Çin'den ve Uzak Doğu'dan Orta Koridor üzerinden taşınan yükler açısından taşıdığı özel öneme vurgu yapıldı.

Görüşmede, kuru liman projesinin yanı sıra, Gürcistan ile Birleşik Arap Emirlikleri arasındaki yatırım alanındaki sıkı iş birliğinin bir diğer güzel örneği olarak, önde gelen geliştirme şirketi Emaar Properties/Eagle Hills ile imzalanan anlaşma da belirtildi. Bu anlaşma kapsamında Gürcistan'da 6 milyar ABD doları tutarında yatırım yapılacaktır.

Birleşik Arap Emirlikleri Devlet Bakanı, yatırımcılara sağladığı destekten dolayı Gürcistan hükümetine Başbakan nezdinde teşekkür etti ve iki ülke arasındaki sıkı ortaklığın gelecekte de barışın, güvenliğin ve istikrarın güçlendirilmesine yönelik olacağını vurguladı.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე არაბთა გაერთიანებული საამიროების საგარეო საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო მინისტრს ეკონომიკისა და

ვაჭრობის საკითხებში, აჰმედ ბინ ალი ალ საიღს შეხვდა, რომელიც საქართველოს თბილისის მშრალი პორტის გახსნასთან დაკავშირებით ეწვია.

მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა საქართველოსა და არაბთა გაერთიანებულ საამიროებს შორის სხვადასხვა სფეროში წარმატებულ ორმხრივ თანამშრომლობაზე, ასევე – სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების პოზიტიურ დინამიკაზე.

ხაზი გაესვა მშრალი პორტის პროექტის განსაკუთრებულ მნიშვნელობას კავკასიისა და ცენტრალური აზიის რეგიონის სავაჭრო ნაკადების გაძლიერებაში, მათ შორის ჩინეთიდან და შორეული აღმოსავლეთიდან შუა დერეფნის მეშვეობით გადაზიდული ტვირთებისთვის.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ მშრალი პორტის პროექტთან ერთად, საქართველოსა და არაბთა გაერთიანებულ საამიროებს შორის საინვესტიციო სფეროში მჭიდრო თანამშრომლობის კიდევ ერთი კარგი მაგალითია უმსხვილეს დეველოპერულ კომპანია Emaar Properties/Eagle Hills-თან გაფორმებული ხელშეკრულება, რომლის ფარგლებშიც საქართველოში 6 მილიარდი აშშ დოლარის მოცულობის ინვესტიცია განხორციელდება.

არაბთა გაერთიანებული საამიროების სახელმწიფო მინისტრმა პრემიერ-მინისტრს საქართველოს მთავრობის მხრიდან ინვესტორების მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ ორ ქვეყანას შორის მჭიდრო პარტნიორობა მომავალშიც მიმართული იქნება მშვიდობის, უსაფრთხოებისა და სტაბილურობის განმტკიცებისკენ.

Poti'de Çok Modlu Konteyner Terminali Açıldı

ფოთში მულტიმოდალური საკონტეინერო ტერმინალი გაიხსნა



Poti’de çok modlu konteyner terminali resmi olarak açıldı. Açılış törenine Gürcistan Ekonomi ve Sürdürülebilir Kalkınma Bakan Yardımcısı Guram Guramishvili katıldı. Konuşmasında, projeye hem inşaat sürecinde hem de yatırım ve gelecekteki işletme açısından katkı sağladıkları için terminalin Orta Koridor’a katılan ülkeler arasındaki iş birliğinin bir örneği olduğunu vurguladı.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA K 777 LC WAIKIKI საქართველოს İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Ziraat Bank

Multimodal terminal projesi, Kazak ve Gürcü tarafların ortaklaşa kurduğu şirket olan JSC Poti Transterminal tarafından gerçekleştirildi. Projenin yatırım değeri 31.5 milyon ABD doları. Terminal, Poti limanına yakın, 9 hektardan fazla bir alanda yer almakta ve yıllık kapasitesi, ilk aşamada 80 000 konteynere kadar çıkacaktır. Ayrıca şirkete göre, terminal aynı anda 120'ye kadar demiryolu vagonuna hizmet verecek ve 100'den fazla kişiye istihdam sağlayacaktır. Terminal hem uluslararası hem yerel taşımacılığa hizmet edecektir. Bunun dışında, bölgesel yönlerde Gürcistan, Azerbaycan ve Ermenistan'a yönelik yüklerin işlenmesi de önemlidir.

Poti çok modlu terminalinin açılış törenine Kazakistan Ulaştırma Bakanlığı Demiryolu ve Su Taşımacılığı Komitesi Başkan Yardımcısı Kasım Tlepov, Kazakistan'ın Gürcistan Büyükelçisi Malik Murzalin ve Çin ile Azerbaycan temsilcileri katıldılar.

ფოთში მულტიმოდალური საკონტეინერო ტერმინალი ოფიციალურად გაიხსნა. გახსნის ღონისძიებაში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე გურამ გურამიშვილმა მიიღო მონაწილეობა. როგორც მან სიტყვით გამოსვლისას აღნიშნა, ტერმინალი შუა დერეფნის მონაწილე ქვეყნების კოოპერაციის მაგალითია, რადგან ამ პროექტში მათი კონტრიბუციაა - როგორც მშენებლობის ნაწილში, ისე ინვესტიციის და შემდგომში ოპერირების კუთხით.

მულტიმოდალური ტერმინალის პროექტი სს „ფოთის ტრანსტერმინალმა" განახორციელა, რომელიც ყაზახური და ქართული მხარეების მიერ ერთობლივად დაფუძნებული კომპანიაა. პროექტის საინვესტიციო ღირებულება 31.5 მილიონ აშშ დოლარია. ტერმინალი ფოთის პორტთან ახლოს, 9 ჰექტარზე მეტ ფართობზეა განლაგებული, მისი წლიური გამტარუნარიანობა, პირველ ეტაპზე, 80 000 კონტეინერზე მეტი იქნება. ამასთან, როგორც „ფოთის ტრანსტერმინალში" აცხადებენ, ტერმინალი ერთდროულად 120-მდე სარკინიგზო ვაგონს მოემსახურება და 100-ზე მეტ ადამიანს დაასაქმებს. ტერმინალი მოემსახურება როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივ გადაზიდვებს. მნიშვნელოვანია ასევე რეგიონალური დანიშნულებით საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის მიმართულებით ტვირთების გადამუშავება.

ფოთის მულტიმოდალური ტერმინალის გახსნის ცერემონიაში მონაწილეობა მიიღეს ყაზახეთის ტრანსპორტის სამინისტროს რკინიგზისა და წყლის ტრანსპორტის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე კასიმ ტლეპოვმა, ყაზახეთის ელჩმა საქართველოში მალიკ მურზალინმა, ასევე ჩინეთის და აზერბაიჯანის წარმომადგენლებმა.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA K 777 LC WAIKIKI თიბანკი İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Ziraat Bank

Tiflis Sürdürülebilir Kalkınma Bölgesel Forumu 2025

თბილისის მდგრადი განვითარების რეგიონული ფორუმი 2025

Başkent, “Barışın Sürdürülebilir Sosyo-Ekonomik Kalkınmadaki Rolü“ başlıklı Tiflis Sürdürülebilir Kalkınma Bölgesel Forumu’na (TBILISI RFSD) ev sahipliği yaptı.

Etkinlik, Tiflis Belediyesi Ekonomik Kalkınma Şehir Dairesi’nin organizasyonuyla gerçekleştirildi ve iki gün boyunca devam etti.

Forum, Tiflis Belediye Başkanı Kakha Kaladze tarafından, Başbakan İrakli Kobakhidze ile birlikte açılış konuşmasıyla başlatıldı. Başkent belediye başkanı konuşmasında barışın önemine dikkat çekti ve uluslararası örgütlerin ve yerel belediyelerin temsilcilerine, uzmanlara, forumun tüm katılımcılarına ve dinleyici topluluğuna etkinliğe katılımlarından dolayı teşekkür etti.

Kaladze’nin ifadesine göre, bu yılki forum sağlık hizmetlerine erişim ve yenilikler, çevre koruma ve ekoloji, gayrimenkul piyasası ve inşaat sektöründeki modern eğilimler gibi önemli konulara değinmektedir. Etkinliğin katılımcıları ayrıca demografi ve göç, mekansal planlama, ulaşım reformu ve şehir gelişimi için gerekli diğer önemli konular üzerine tartışmışlardır.

Tiflis Sürdürülebilir Kalkınma Bölgesel Forumu (TBILISI RFSD) çerçevesinde, başkent her yıl hem yerel hem de uluslararası düzeyde konuşmacılar, çeşitli alan uzmanları, belediyeler ve akademik çevrelerin temsilcilerini ağırlamaktadır.

Etkinliğin amacı, işbirliğinin oluşturulması ve şehirlerin sürdürülebilir ve uzun vadeli gelişim perspektifini oluşturacak deneyimlerin, modern yaklaşımların ve fikirlerin paylaşılmasıdır. Forumda sürdürülebilir ekonomik gelişme, 8 000 yıllık geleneksel şarapçılık, sağlık hizmetlerine erişim ve yenilikler, yenilenebilir enerjinin kullanımı ve gelişimi, döngüsel ekonomi, inşaat sektöründeki modern eğilimler vb konular ele alındı.

Foruma Gürcistan Hükümeti üyeleri, belediye başkanları ve belediye meclisi temsilcileri, yerel ve uluslararası konuşmacılar, çeşitli alanlardan uzmanlar ile iş dünyası, akademik çevreler ve diplomatik misyon temsilcileri katıldı.

დედაქალაქმა თბილისის მდგრადი განვითარების რეგიონულ ფორუმს (TBILISI RFSD) სახელწოდებით - „მშვიდობის როლი მდგრად სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში“ უმასპინძლა.

ღონისძიება თბილისის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის ორგანიზებით გაიმართა ორი დღის განმავლობაში გაგრძელდა.

ფორუმი მისასალმებელი სიტყვით თბილისის მერმა კახა კალაძემ პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძესთან ერთად გახსნა. საკუთარ გამოსვლაში დედაქალაქის მერმა ყურადღება მშვიდობის მნიშვნელობაზე გაამახვილა და საერთაშორისო ორგანიზაციების, ადგილობრივი მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებს, ექსპერტებს, ფორუმის ყველა მონაწილესა და დამსწრე საზოგადოებას ღონისძიებაში ჩართულობისთვის მადლობა გადაუხადა.

მისივე თქმით, წლევანდელი ფორუმი ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს ეხმიანება, როგორებიცაა: ჯანდაცვის სერვისების ხელმისაწვდომობა და ინოვაციები, გარემოს დაცვა და ეკოლოგია, უძრავი ქონების ბაზარი და თანამედროვე ტენდენციები სამშენებლო სექტორში. ღონისძიების მონაწილეებმა ასევე, იმსჯელეს დემოგრაფიისა და მიგრაციის, სივრცითი მოწყობის, სატრანსპორტო რეფორმისა და ქალაქის განვითარებისთვის საჭირო სხვა მნიშვნელოვან თემებზე.

თბილისის მდგრადი განვითარების რეგიონული ფორუმის (TBILISI RFSD) ფარგლებში, დედაქალაქი ყოველწლიურად, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონის სპიკერებს, სხვადასხვა დარგის ექსპერტებს, მუნიციპალიტეტებისა და აკადემიური წრეების წარმომადგენლებს მასპინძლობს.

ღონისძიების მიზანი გამოცდილების, თანამედროვე მიდგომებისა და იდეების გაზიარებაა, რომელიც თანამშრომლობის ჩამოყალიბებისა და ქალაქების განვითარების მდგრად და გრძელვადიან პერსპექტივას ქმნის. ფორუმზე განხილულ იქნა ისეთი თემები, როგორებიცაა: მდგრადი ეკონომიკური განვითარება, 8 000-წლიანი ტრადიციული მეღვინეობა, ჯანდაცვის სერვისების ხელმისაწვდომობა და ინოვაციები, განახლებადი ენერგიის მოხმარება და განვითარება, ცირკულარული ეკონომიკა, თანამედროვე ტენდენციები სამშენებლო სექტორში და სხვა.

ფორუმში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს მთავრობის წევრებმა, მუნიციპალიტეტების მერებმა და საკრებულოს წარმომადგენლებმა, ადგილობრივმა და საერთაშორისო გამომსვლელებმა, ექსპერტებმა სხვადასხვა სფეროდან, ასევე, ბიზნესსექტორის, აკადემიური წრეებისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებმა.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA K777 LC WAIKIKI თბანკი İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Ziraat Bank

Gürcistan-Türkiye Dışişleri Bakan Yardımcıları Toplantısı

საქართველო-თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეების შეხვედრა

3 Haziran 2025'te, Tiflis'te, Gürcistan ve Türkiye Cumhuriyeti Dışişleri Bakanlıkları arasında bakan yardımcılarının düzeyinde siyasi istişarelerin bir sonraki turu gerçekleştirildi. Gürcü delegasyonuna Gürcistan Dışişleri Bakan Yardımcısı Lasha Darsalia, Türk delegasyonuna ise Türkiye Cumhuriyeti Dışişleri Bakan Yardımcısı Berris Ekinci başkanlık etti. Taraflar, Gürcistan ile Türkiye Cumhuriyeti arasında mevcut olan sağlam stratejik ortaklığı ve yakın ikili işbirliğini memnuniyetle vurguladılar.

Üst düzeyde ve sektörel kurumlar arasında karşılıklı ziyaretlerin artan dinamiklerine vurgu yapıldı. Yüksek Düzeyli Stratejik Konsey'in üçüncü toplantısının gerçekleştirilmesinin önemi ifade edildi.

Stratejik iş birliği çerçevesinde ikili gündemin güncel konuları detaylı şekilde ele alındı. Aynı zamanda, bölgede yaşanan gelişmelere ve Gürcistan ile Türkiye'nin bölgesel istikrar ve barışın sağlanmasındaki rollerine büyük önem verildi. Türkiye tarafı, Gürcistan'ın toprak bütünlüğüne ve egemenliğine, ayrıca Gürcistan'ın NATO'ya entegrasyonuna olan güçlü desteğini bir kez daha teyit etti.

Toplantıda, Gürcistan'ın işgal altındaki topraklarındaki mevcut durum kapsamlı bir şekilde ele alındı. Gürcü tarafı, Türk tarafına sahadaki güvenlik tehditlerini ve ağır insani durumu ayrıntılı olarak aktardı.

Gürcistan ile Türkiye arasındaki ticari ve ekonomik iş birliğinin derinleştirilme perspektifleri görüşüldü. Ulaşım, enerji ve gümrük alanlarında iki ülke arasındaki aktif iş birliğinin önemi vurgulandı. Bölgesel iş birliği konularına, Gürcistan-Azerbaycan-Türkiye üçlü formatına, ortak projelerin hayata geçirilmesine ve iki ülkenin transit ve ulaştırma potansiyelinin tam olarak kullanılması gerekliliğine dikkat çekildi. Orta Koridor'un önemi de özellikle vurgulandı.

Gürcistan ile Türkiye arasında uluslararası örgütler çerçevesinde yürütülen etkin iş birliği vurgulandı. Taraflar, aktif iş birliğinin sürdürülmesine ve stratejik ortaklığın derinleştirilmesine yönelik kararlılıklarını bir kez daha teyit ettiler.

ARKAS GEORGIA LLC · EFES GEORGIA · K 777 · LC WAIKIKI · საქართველოს ᲘᲨᲑᲐᲜᲚᲘ · MAQRO CONSTRUCTION · nurol · ŞİŞECAM · TAV Airports · Ziraat Bank

2025 წლის 3 ივნისს, თბილისში, საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროებს შორის მინისტრების მოადგილეების დონეზე პოლიტიკური კონსულტაციების მორიგი რაუნდი გაიმართა. ქართულ დელეგაციას ხელმძღვანელობდა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ლაშა დარსალია, ხოლო თურქეთის დელეგაციას - თურქეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ბერის ექინჯი.

მხარეებმა კმაყოფილებით აღნიშნეს საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის არსებული მტკიცე სტრატეგიული პარტნიორობა და მჭიდრო ორმხრივი თანამშრომლობა.

ხაზი გაესვა როგორც მაღალი დონის, ასევე დარგობრივ უწყებათა ვიზიტების ურთიერთგაცვლის დინამიკას. აღინიშნა მაღალი დონის სტრატეგიული საბჭოს რიგით მესამე სხდომის გამართვის მნიშვნელობა.

დეტალურად იქნა განხილული სტრატეგიული თანამშრომლობის ფარგლებში ორმხრივი დღის წესრიგის აქტუალური საკითხები. ასევე, დიდი ყურადღება დაეთმო რეგიონში მიმდინარე პროცესებს და საქართველოსა და თურქეთის როლს რეგიონში სტაბილურობისა და მშვიდობის ხელშეწყობის კუთხით. თურქეთის მხარემ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტისადმი, ასევე საქართველოს ნატო-ში ინტეგრაციისადმი მტკიცე მხარდაჭერა კიდევ ერთხელ დააფიქსირა.

შეხვედრაზე ვრცლად იქნა განხილული საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ვითარება. ქართულმა მხარემ თურქულ მხარეს დეტალურად გააცნო ადგილზე არსებული უსაფრთხოების გამოწვევები და მძიმე ჰუმანიტარული ვითარება.

შეხვედრაზე განხილულ იქნა საქართველო-თურქეთს შორის სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივები. ხაზი გაესვა ტრანსპორტის, ენერგეტიკისა და საბაჟო საკითხთა სფეროში ორ ქვეყანას შორის აქტიური ურთიერთქმედების მნიშვნელობას. ყურადღება გამახვილდა რეგიონული თანამშრომლობის საკითხებზე, საქართველო-აზერბაიჯანი-თურქეთის სამმხრივ ფორმატზე, ერთობლივი პროექტების განხორციელების და ორი ქვეყნის სატრანზიტო და სატრანსპორტო პოტენციალის სრულად გამოყენების აუცილებლობაზე, ასევე, შუა დერეფნის მნიშვნელობაზე.

აღინიშნა საქართველოსა და თურქეთს შორის საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში ეფექტიანი თანამშრომლობა. მხარეებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს აქტიური თანამშრომლობისათვის და სტრატეგიული პარტნიორობის გაღრმავებისათვის მზადყოფნა.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA K 777 LC WAIKIKI იშბანკი İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Ziraat Bank

Tiflis Kuru Limanı Resmen Açıldı

თბილისის მშრალი პორტი ოფიციალურად გაიხსნა



“Tbilisi Dry Port”, Tiflis’teki ilk modern demiryolu konteyner ve yük terminali olarak resmen faaliyete geçti. Tesis, hem gümrük bölgesi yetkilendirmesini hem de Gürcistan Demiryolu Ajansı’ndan demiryolu altyapısının işletilmesi ve güvenliği için ilk sertifikayı aldı.

Kuru liman, Batum ve Poti limanlarının bir uzantısı olarak hizmet veren, limanları ve lojistik tesisleri birbirine bağlayan modern, intermodal bir lojistik merkezidir.

Tesis yalnızca Gürcistan limanlarına hizmet vermekle kalmayacak, aynı zamanda uluslararası deniz hatları için bir konteyner merkezi ve depo işlevi de görecektir.

Liman, Kafkasya ve Orta Asya bölgesindeki ticaret akışlarında önemli bir rol oynayacaktır. Tesis, büyük ölçekli ve verimli lojistik operasyonlar için tasarlanmıştır.

Kuru limanın avantajı, kara sınırına olan yakınlığıdır – Ermenistan ve Azerbaycan’a sadece 70 km, Tiflis Uluslararası Havalimanı’na ise yalnızca 7 km mesafededir.

Üç aşamanın gerçekleştirilmesinin ardından “Kuru Liman”, yıl boyunca sadece Poti ve Batum’dan değil, Orta Asya’dan da 200-250 bin konteyner alma imkanına sahip olacak; konteynerler Tiflis’teki “kuru liman”da depolanıp ve taşınacak, ardından Batum, Poti ve gelecekte Anaklia limanlarına sevk edilecektir.

Proje, Abu Dhabi Ports Group, Norveçli “Wilhelmsen Port Services” ve yerel “Inveco” işbirliğini temsil etmektedir. Abu Dhabi Ports Group şirketi, hisse senetlerinin %60’ine sahip olup kuru liman inşaat projesinin ana ortağıdır. Yatırım paketinin toplam değeri 50 milyon dolardır.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA K 777 LC WAIKIKI ეროვნული ᲘᲨᲑᲐᲜᲚᲘ MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Ziraat Bank

„თბილისი დრაი პორტი“, პირველი თანამედროვე სარკინიგზო საკონტეინერო და სატვირთო ტერმინალი თბილისში ოფიციალურად ამოქმედდა. ობიექტმა მიიღო როგორც საბაჟო ზონის ავტორიზაცია, ასევე რკინიგზის ინფრასტრუქტურის ოპერირებისა და უსაფრთხოების პირველი სერტიფიკატი საქართველოს რკინიგზის სააგენტოსგან.

მშრალი პორტი არის თანამედროვე, ინტერმოდალური ლოჯისტიკური ცენტრი - ბათუმისა და ფოთის პორტების გაგრძელება, რომელიც ემსახურება მათ, აკავშირებს პორტებსა და ლოგისტიკურ ობიექტებს.

ის არა მხოლოდ ქართულ პორტებს მოემსახურება, არამედ საერთაშორისო საზღვაო ხაზებისთვის საკონტეინერო ჰაბისა და დეპოს ფუნქციასაც შეასრულებს.

პორტი მნიშვნელოვან როლს ითამაშებს კავკასიისა და ცენტრალური აზიის რეგიონის სავაჭრო ნაკადებში. ობიექტი შექმნილია მასშტაბური და ეფექტიანი ლოგისტიკური ოპერირებისთვის.

მშრალი პორტის უპირატესობაა სიახლოვე სახმელეთო საზღვართან – მხოლოდ 70 კმ სომხეთთან და აზერბაიჯანთან და სულ 7 კმ თბილისის საერთაშორისო აეროპორტიდან.

სამივე ფაზის განხორციელების შემდეგ "მშრალ პორტს" შესაძლებლობა ექნება წელიწადში მიიღოს 200-250 ათასი კონტეინერი არა მხოლოდ ფოთიდან და ბათუმიდან, არამედ შუა აზიიდან, რომელიც შეინახება და გადაიტვირთება კონტეინერებში თბილისის "მშრალ პორტში" და შემდეგ ტრანსპორტირება მოხდება ბათუმის, ფოთის და მომავალში ანაკლიის პორტებში.

პროექტი წარმოადგენს Abu Dhabi Ports Group-ის, ნორვეგიული "ვილჰელმსენ პორტ სერვისის" და ადგილობრივი "ინვეკოს" კოლაბორაციას. კომპანია Abu Dhabi Ports Group-ი ფლობს აქციების 60%-ს და არის მთავარი პარტნიორი მშრალი პორტის მშენებლობის პროექტში. საინვესტიციო პაკეტის მოცულობა 50 მლნ დოლარს შეადგენს.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA K 777 LC WAIKIKI ეროვნული ISBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Ziraat Bank

Yılın İlk Çeyreğinde Yabancı Yatırımlar 179.4 Milyon Dolara Kadar Düştü

I კვარტალში უცხოური ინვესტიციები 179.4 მლნ დოლარამდე შემცირდა

Gürcistan Ulusal İstatistik Ofisi'nin ön verilerine göre, Gürcistan'da gerçekleştirilen doğrudan yabancı yatırımların miktarı 2025 yılının 1. çeyreğinde 179.4 milyon ABD doları olarak gerçekleşmiş olup, bu 2024 yılının 1. çeyreğine ait ön verilere göre %7.7 azalmıştır. Düşüş, hisse senedi sermayesi ve borç yükümlülükleri oranındaki düşüşle açıklanmaktadır.

2025 Yılının ilk çeyreğinde hisse senedi sermayesi 62.1 milyon ABD doları olarak gerçekleşmiş olup, toplam doğrudan yabancı yatırımların %34.6'sını oluşturmaktadır. Yeniden yatırımlar ise 150.0 milyon ABD doları olarak belirlenmiş olup bu pay %83.6 olarak hesaplanmıştır.

2025 Yılının I çeyreğinde Gürcistan'a yapılan doğrudan yabancı yatırımlar açısından en büyük yatırımcı ülkeler aşağıdaki gibidir:

- Çekya - 43 mln ABD Doları
- ABD - 39.6 mln ABD Doları
- Türkiye - 28.1 mln ABD Doları
- Britanya Virjin Adaları - 25.4 mln ABD Doları
- Azerbaycan - 25 mln ABD Doları
- Marshall Adaları - 24.1 mln ABD Doları
- Hollanda - 22.4 mln ABD Doları
- Rusya - 19.2 mln ABD Doları
- İsrael - 12.9 mln ABD Doları
- Malta - 12.4 mln ABD Doları

Ayrıca, Geostat verilerine göre, 2025 yılının ilk çeyreğinde en fazla doğrudan yabancı yatırım enerji sektörüne yapılmış olup 70.2 milyon ABD doları ile toplam doğrudan yabancı yatırımların %39.1'ini oluşturdu. 52.3 Milyon ABD doları (%29.2) ile bilgi ve iletişim sektörü ikinci sırada yer alırken, üçüncü sırada 27.5 milyon ABD doları (%15.3) ile imalat sanayi bulunmaktadır. İlk beşte ayrıca inşaat sektörü 20.5 milyon ABD doları ve ulaştırma sektörü 18.3 milyon ABD doları ile yer almaktadır.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LC WAIKIKI MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Ziraat Bank



საქსტატის წინასწარი მონაცემებით, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2025 წლის I კვარტალში 179.4 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2024 წლის I კვარტლის წინასწარ მონაცემებზე 7.7 პროცენტით ნაკლებია. კლება განპირობებულია სააქციო კაპიტალის და სავალო ვალდებულებების მაჩვენებლის შემცირებით.

2025 წლის I კვარტალში სააქციო კაპიტალმა 62.1 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 34.6 პროცენტია. რეინვესტიციამ 150.0 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და მისი წილი 83.6 პროცენტით განისაზღვრა.

2025 წლის I კვარტალში საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით, უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნები შემდეგნაირად განაწილდა:

- ჩეხეთი - 43 მლნ აშშ დოლარი
- აშშ - 39.6 მლნ აშშ დოლარი
- თურქეთი - 28.1 მლნ აშშ დოლარი
- ვირჯინიის კუნძულები (ბრიტანეთი) - 25.4 მლნ აშშ დოლარი
- აზერბაიჯანი - 25 მლნ აშშ დოლარი
- მარშალის კუნძულები - 24.1 მლნ აშშ დოლარი
- ნიდერლანდები - 22.4 მლნ აშშ დოლარი
- რუსეთი - 19.2 მლნ აშშ დოლარი
- ისრაელი - 12.9 მლნ აშშ დოლარი
- მალტა - 12.4 მლნ აშშ დოლარი

ამასთან, საქსტატის მონაცემებით, 2025 წლის I კვარტალში ყველაზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია ენერგეტიკის სექტორში განხორციელდა და 70.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 39.1 პროცენტია. მეორე ადგილს იკავებს ინფორმაციისა და კომუნიკაციის სექტორი - 52.3 მლნ აშშ დოლარით (29.2 პროცენტი), ხოლო მესამეზე იმყოფება დამამუშავებელი მრეწველობის სექტორი 27.5 მლნ აშშ დოლარით (15.3 პროცენტი). ხუთეულში შედის მშენებლობა - 20.5 მლნ აშშ დოლარი და ტრანსპორტი - 18.3 მლნ აშშ დოლარი.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA K 777 LC WAIKIKI იშბანკი İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Ziraat Bank